

**დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

სახელმწიფო პროგრამის მიზანია პათოლოგიური ცვლილებების აღმოჩენა სიმპტომების გამოვლენამდე, რეგულარული სკრინინგი უზრუნველყოს დაავადების განვითარებისა და სიკვდილიანობის რისკის შემცირებას. მომსახურება მოიცავს საშვილოსნოს ყელის, ძუძუსა და კოლორექტული კიბოს სკრინინგს, პროსტატის კიბოს მართვას, ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციას, ეპილეფსიის დიაგნოსტიკასა და ზედამხედველობას, დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგს, სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგის კომპონენტს.

ზემოაღნიშნულ პროგრამის კომპონენტებში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს.

ძუძუს კიბოს სკრინინგში ჩართვა შეუძლია 40-70 წლის ასაკის ქალებს, აღნიშნული მომსახურება მოიცავს ძუძუს კიბოს გასინჯვას და გამოკვლევებს. მათ შორის:

- ძუძუს კიბოს ფიზიკალურ გასინჯვა.
- სარძევე ჯირკვლის რენტგენოლოგიური კვლევის მეთოდი (მამოგრაფიულ გამოკვლევა) 2 პროექციაში (2 რადიოლოგის მიერ ერთმანეთის დამოუკიდებლად წაკითხვით);
- პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში სხვა კვლევები მათ შორის: ძუძუს ულტრაბგერითი გამოკვლევა, ბიოფსია, აღებული ბიოფსიური მასალის ციტოლოგიურ კვლევა.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს: 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალების ექიმის/გინეკოლოგის კონსულტაციას, გასინჯვას, შესაბამისი გამოკვლევების ჩატარებას:

- პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარება.
- პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი გამოკვლევების ჩატარება (კოლპოსკოპია, ბიოფსიური მასალის აღება, ჰისტო-მორფოლოგიური კვლევა.)

კოლორექტული კიბოს სკრინინგი მოიცავს 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესის წარმომადგენლების ტესტირებას

- ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT) ჩატარებას;
- პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლონოსკოპიას (გაუტკივარებით ან გაუტკივარების გარეშე) და საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღებას (მათ შორის, მცირე ზომის პოლიპების ამოკვეთა), აღებული ბიოფსიური მასალის ჰისტოლოგიურ კვლევას.

პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევა ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართებით.

1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას.

ეპილეფსიის დიაგნოსტიკა - მოიცავს ეპილეფსიის პირველად დიაგნოსტიკასა და დიაგნოზის დადასტურების მიზნით პაციენტის გაღრმავებულ კვლევებს;

რეტინოპათიის დიაგნოსტიკა - დღენაკლული ახალშობილების გამოკვლევა, რომელიც მოიცავს პირველად სკრინინგს ექიმის კონსულტაცია, ბინოკულარულ ოფთალმოსკოპია. საჭიროების შემთხვევაში განმეორებადი (მრავალჯერადი) სკრინინგი. ნეონატალოგის გადაწყვეტილებით, გამოკვლევა უტარდებათ ასევე 34-36 გესტაციური ასაკის დღენაკლულ ახალშობილებს, რომელთაც აღენიშნებოდათ დამძიმებული ანამნეზი ან დასჭირდათ დამატებითი ოქსიგენოთერაპია 48 საათზე დიდხანს.

სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგის კომპონენტი, რომელიც მოიცავს:

ა) ექიმი პედიატრის კონსულტაციას;

- ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების შეფასებას, წინასწარ შედგენილი, სპეციალური კითხვარის მეშვეობით;
- ბავშვის კვებითი სტატუსის განსაზღვრას – კვების რაციონში ვიტამინების, კალციუმისა და რკინის შემცველობის შესახებ ინფორმაციის მიღება;
- ბავშვის მშობლებისათვის (კანონიერი წარმომადგენლებისათვის) საერთაშორისო რეკომენდაციების გაცნობას, ტყვიით ექსპოზიციის შესაძლო წყაროების შესახებ;

ბ) დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას:

- სისხლის საერთო ანალიზი
- ფერიტინის განსაზღვრა სისხლში
- C რეაქტიული ცილა
- შარდში ჰემატინის განსაზღვრა
- ჰემოგლობინი ან ჰემატოკრიტი
- რკინის დონე სისხლში
- მუცლის ღრუს რენტგენოგრაფია

მოსარგებლეებისთვის, რომელთა სისხლში ტყვიის კონცენტრაცია შეადგენს ან მეტია 5 მკგ/დლ-ზე, მედიკამენტებით (რკინის პრეპარატებით, კალციუმითა და მულტივიტამინებით) უზრუნველყოფილი იქნება ექიმის დანიშნულების შესაბამისად.

მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები იხილეთ:

<https://ncdc.ge/#/pages/content/31a2d009-782d-4b0d-860c-901a16c62eb3>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05